სანდრო ჟღენტი

# გაზაფხულის სიმღერები

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი
საბავშვო და ახალგაზრდობის
ლიტგამომცემლობა
თბილისი 1938

[redacted]

# კოცონთან

ძღვნად უძღვნის I პიონერბანაკის 300 ფრიადოსანს

იწვის ფიჩხი, ცეცხლის ალი
ლაპლაპებს და წითლად ელავს,
თითქოს ტყეში ხანძარია
და მიდამოს უნდა შეელა...

უმატებენ ფიჩხზე ფიჩხებს,
ალი უფრო მაღლა იწევს...
რომ გახედო იმ სერამდის,
ალისფერად ყვავის სივრცე.

ცეცხლის ირგვლივ აქ ბავშვები;
ჩამოსხდნენ და შეკრეს რკალი.
უხარიათ, და ღიმილით
თვითეულის ბრწყინავს თვალი.

ცეკვა, მღერა, ტაშისცემა,
ლექსები და მღერა ისევ...
ახლა ყველა ყურადღებით
ხელმძღვანელის სიტყვას ისმენს.

გათავდება ერთი „ლხინი
და მეორეს მოსდევს ტაში...
ჩამოივლის მთიდან სიო
და ხეები შრიალს გაშლის.

სიცოცხლეა აქ და ყველგან
და სიცოცხლე ფარავს ტყესაც;
ინვის ფიჩხი, ცეცხლის ალი
თითქოს სწვდება მაღლა ზეცას.

1936 წელი

# ზაფხულის დღე

დღეს დილიდან ალმური დგას,
თითქოს დადნა მიწა სიცხით,
მზეს თანდათან ემატება
ელვარება მწველი, ფიცხი.

თითქოს დაჭკნა ირგვლივ მწვანე
და ეცვალა ფერი ფოთლებს,
გადაშლილი ველის სივრცე
მზის სხივებმა წითლად მორთეს.

მოერია სიცხე ყველას,
ეზოში კი დარბის ლეკვი,
სუნთქავს ენაწავარდნილი,
ხის და სახლის ჩრდილებს ეკვრის.

ცხელა, ცხელა! ასეთ დარში
თითქოს დაჭკნა ირგვლივ მწვანე...
ბრგე ბიჭებიც შესევიან
ტანაქოჩრილ და ლურჯ ყანებს.

და ხანდახან ნანატრივით
ჩაიქროლებს სიო წყნარად,
დობილოდან სიმღერის ხმა
მოაქვს გულის გასახარად.

დილა იყო ცვარით სავსე,
ღამე მოვა ისევ კარგი,
დღეს სიცხეა, და სიცხეში
კოლექტივი ყანას მარგლის.

მხიარულად მიაქვთ სვრელი,
შავი მიწა თოხებს ლესავს,
ლაპლაპებს და კიდევ უფრო
ემატება სიცხე მზესა.

შუადღისას იქვე, ჩრდილქვეშ,
მოსხდომიან გაშლილ სუფრას...
რა ტკბილი და საამოა
მჭადები და კერძი სუფთა!

თითქოს მინდვრად ნადიმი აქვთ,
იქ სიცილი დაღლას ფანტავს...
რომ გაიგო ყველაფერი,—
უნდა იყო ახლო მათთან!

უნდა ნახოთ აქ ბავშვებიც,
რომ იჩენენ ზრუნვას, ალერსს,
კოხტა ხარებს, ხბოს და ძროხებს
არ აკლებენ ლორთქო ალერდს.

ცხელა, ცხელა! ასეთ დარში
თითქოს დაჭკნაირგვლივ მწვანე...
სიმღერა და თოხი მჭრელი
ახალისებს გაშლილ ყანებს.

1935 წელი

# ისევ წიგნი

მომეწყინა სახლში ყოფნა,
თამაში და რბენა მინდვრად;
ვითვლი დღეებს, აღარ მიდის,
ახლა ისევ სკოლა მინდა!

ვუალერსებ ჩემს მეგობრებს:
წვერცანცარას, ხბოს და ბატკნებს,
ვატყობ, თითქოს მომბეზრდაო,
აღარ იწევს გული მათკენ.

ლეკვიც მალე გაიზარდა,
დადინჯდა და კუდს არ იქნევს...
რა ვქნა, როდის გადავფურცლავ,
სურათიან ახალ წიგნებს!

ყოველ დილით ვბანაობ და
მწიფე ხილიც მიწვევს ხიდან.
თითქოს იგიც მომბეზრდაო,
ახლა ისევ სკოლა მინდა!

კარგი არის ეს ზაფხული,
ხალისით და გრძნობით სავსე,
მაგრამ მაინც დღეებს ვითვლი:
როდის ვნახავ სკოლის ბავშვებს?!

კარგი არის ეს გართობაც,
გადარბენა სერებს იქით,
მაგრამ, რა ვქნა, მომენატრა
ისევ სკოლა, ისევ წიგნი!!

1935 წელი

# შემოდგომა

აღარ ისმის ფრინველების
ჭიკჭიკი და გუგუ.
ნაღვლიანად თვალს ვაშორებ
ოფოფსა და გუგულს.
გადიარეს, გადასცილდნენ
ველებს, მთებს და შორ ზღვებს,
სულ სხვა სახის ფერი დაჰკრავს
მინდორს, ტყეს და მწველ მზეს.
ცას ღრუბლები შემოაწვა
კრიალას და ლაჟვარდს;
გულს მიწუხებს, როცა ვხედავ
წეროების ლაშქარს.
მთა და ბარი კვლავ მოიწყენს,
ქარი ფოთლებს არხევს;
თან მივძახი ფრინველთა გუნდს:
„მალე ისევ გვნახეთ!“
მაგრამ მაინც გადიარეს,
გადასცილდნენ შორ ზღვებს,
სულ სხვა სახის ფერი დაჰკრავს
მინდორს, ტყეს და მწველ მზეს.
ამ დროს ირგვლივ გადავხედავ
და მოწყენას ვკარგავ,
ბაღ-ვენახს რომ მწიფე ხილი
ფერადფერად ქარგავს.
თანაც მინდა ასე იყოს

შემოდგომა მსუყე,
ყველა ბუჩქი გადავკოცნო,—
მზად ვარ მისთვის უკვე.
ვენახი და ბაღი ითხოვს:
„ეს სიმწიფე კმარა;
კოლექტივო, ურმები და
კალათები ჩქარა!“
იქვე ჭურში მღერა ისმის,
მღერა გრძნობით სავსე,
შემოდგომის ბარაქაა
მკლავის სიძვირფასე,
მალე ეზოს დაამშვენებს
ჩურჩხელების მწკრივი,
ძალით უნდა გამოვსტაცო
მზეს სითბო და სხივი.
ფრინველები გაგვიფრინდნენ,
გადასცილდნენ შორ ზღვებს,
შემოდგომის ნისლი ბურავს
მინდორს, ტყეს და მწველ მზეს.
მაგრამ ირგვლივ გადავხედავ
და მოწყენას ვკარგავ,
ბაღ-ვენახს რომ მწიფე ხილი
ფერადფერად ქარგავს.

1934 წელი

# თვითმფრინავების გაფრენა

რა კარგად ჩანდა მინდორი,
ველი და სივრცე გაშლილი,
მზე ბრჭყვიალებდა ბალახზე
ლოყაწითელა ვაშლივით.

რა კარგად ჩანდა მინდორი,
მზიდან სხივები დაღვრილი.
შავნაბადაზე მოჩანდა
მწყემსი ძაღლით და ნახირით.

ვფიქრობდი: ამდენი ხალხი
ნეტავი როდის მოვიდა,
ან ნეტავ როდის გვესტუმრნენ
გლეხები ახლო სოფლიდან?

ბავშვებს, დიდებს და მოხუცებს
სიო გარშემო უვლიდა,
და იზრდებოდა ხალისი
ამოვარდნილი გულიდან.

ხმები წკრიალა, ნორჩების
ვაშას და ვაშას ძახილით
კვეთდა სივრცეს და მიდამოს.
როგორც ელვარე მახვილი.

ჰაერს ნელნელა არღვევდა
თვითმფრინავების გრიალი,
მიწას ჰკოცნიდა სიო და
შორით ხეების შრიალი...

და მეც ავტოკდი პატარა,
ძირს არ მინდოდა დარჩენა,
რა კარგად ჩანდა რიგრიგად
თვითმფრინავების გაფრენა!

1931 წელი

# ერთგული სურმა

ხედავ, მალე გაიზარდა
ჩვენი ლეკვი, კოხტა სურმა,
ერთი თვისა არც კი იყო,
და დიდობა როგორ სურდა!

როცა წოვდა ძუძუს ხარბად,
ამაყობდა კუდის ქნევით,
შემდეგ იგი უდარდელი,
მგზავრს მიჰყეფდა ეზოს ქვევით.

მაგრამ მისი ხმა და „რისხვა“
ბავშსაც კი არ აშინებდა;
უაზროდ და მამაცურად
სურმა ისევ ყეფდა, ყეფდა.

ბუნჩულას და ფაფუკთმებას
აჯავრებდა ყველა სახლში;
ერთგულ ძაღლის მომავალი
მაინც ჩანდა იმის ხმაში.

კოხტა იყო და უყვარდათ,
არ აძლევდნენ სურმას საშველს,
მისი „ამუ“ და ბაჯბაჯი
აცინებდა უფრო ბავშვებს.

როცა წოვდა ძუძუს ხარბად,
ამაყობდა კუდის ქნევით;
შემდეგ იგი უდარდელი
მგზავრს მიჰყვებოდა ეზოს ქვევით.

გაიზარდა სურმა მალე
და დაკარგა ძველი ნირი,
მას უბრალოდ აღარ უყვარს
არც რბენა და ყეფა ხშირი.

შემოივლის ეზოს, უბანს,
ინახულებს ხშირად ფარეხს,
თან მიჰყვება ერთგულ გზირად
ცხვრების ფარას თხებთან ნარევს.

ძოვს ცხვარი, და იქვე სურმა
დაჰყრდნობია თათებს დინჯად,
თითქოს ელის ნადირის ხმას,
არემარეს თვალით სინჯავს.

ახლა სურმა დიდი არის,
საქმის დროს ყეფს მხოლოდ მარტო;
მას მიანდვეს ცხვარი მინდვრად,
ფარეხი და ეზო ფართო.

მთაც ხომ იცის სურმამ კიდევ,
განა მარტო ეზო კმარა:
იქ მიდიან მაშინ, როცა
ჩამოცხება ძლიერ ბარად.

უყვარს პატრონს, როგორც წინათ,
უყვართ ბავშვებს უფრო ახლა,
თუმცა მათ კი აღარ ართობს,
ერთგული და დინჯი გახდა.

1935 წელი

## კ უ წ ი

სოფ. კვალითის სკოლის ოქტომბრელებს

როგორც მუდამ, ისე დღესაც
ისმის ხმები სკოლის ირგვლივ...
სხვა ხალისი ემატება
კუწის ხტომას, კუწის სირბილს.

ინახულა უბანი და
სოფლის შარა, ხალხით სავსე,
ტაშისცემით მიეგება
აღრიანად მოსულ ბავშვებს...

იცის კუწიმ ზეიმი აქვთ,
მისთვის მორთეს სკოლა გუშინ...
ფიქრობს, ლექსი დღეს უნდა თქვას,
უხარია თანაც გულში.

შემოუვლის სკოლის ეზოს,
სათითაოდ სტუმრებს უცქერს.
სიო არხევს წითელ დროშებს
და ქაღალდის ფერად ფურცლებს.

ბავშვები კი მღერა გუგუნს
უმატებენ ვაშას ძახილს,
ქალაქიდან მოსულ შეფებს
აღტაცებით ხვდება ხალხი.

მიაშურეს სკოლის დარბაზს...
კუნის გული ფეთქავს ისევ,
და ლექსის თქმის მოლოდინში
ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს ისმენს.

როგორც მუდამ, ისე დღესაც
ისმის ხმები სკოლის ირგვლივ,
ლექსზე ფიქრი ემატება
კუნის ხტომას, კუნის სირბილს,

1935 წელი

## ახალ სახლთან

ახსოვს ზურას ეს უბანი,
უბნის ბოლოს მიწას თხრიდნენ.
როგორ იყო გაუვალი
ახორგილი ქუჩის კიდე!
ახსოვს ზურას, დედამ უთხრა:
„აქ შენდება დიდი სახლი,
დიდი სახლი, კოხტა ქუჩა,
საცა მიწას ხედავ დათხრილს".
ახსოვს ზურას ისიც კარგად,
რომ აქ სახლი ჯერ არ ჩანდა,
მოდიოდა და მოჰქონდა
მას წიგნებით სავსე ჩანთა.
ახსოვს ზურას, ლამდებოდა
და მუშები ცვლიდნენ წყებას,
დედის ტკბილი საუბარი
და მრავალი აღტაცება.
ახსოვს ისიც, თუ აქ ქვებზე
რა სიძნელით გადიარა,
და მუშები წერაქვებით
ზურას თვალწინ იდგნენ მრავლად.
ახსოვს ზურას, უთხრა დედამ:
„აქ შენდება დიდი სახლი,
დიდი სახლი, კოხტა ქუჩა,
საცა მიწას ხედავ დათხრილს".

ახსოვს ზურას და ოცდება.
როცა უცქერს ახალ სახლებს...
ახალ ქუჩის მოედანზე
მწვანე ნარგავს სიო არხევს.
იდგა ზურა და ფიქრობდა:
— როგორ დადგეს ასე სწრაფად?
ალბათ, მათი გამრჯელობა
ამშვენებდა წითელ დაფას“.
ხედავს: ირგვლივ კოხტა სახლი,
ასფალტი და ქუჩა ვრცელი,
დასტყობია ამ უბანსაც
დამკვრელების სწრაფი ხელი.
უკვირს ზურას, ძველი ქუჩა
ასე კოხტა როდის გახდა,
დიდხანს იდგა სიხარულით
ახალ ქუჩის ახალ სახლთან. •

1934 წელი

# საღამო ზღვაზე

ზღვა ღელავს, და ვერცხლისფერად
ეფინება წყალზე შხეფი,
ბროლის სივრცეს მოგაგონებს,
როცა ტალღა ტალღას ებრძვის.

უცქერ გაშლილ ზღვის ფორიაქს...
წინ კი არ ჩანს ხე და მიწა,
ცის კამკაშა დასავალზე
მზე-ბურთივით სადღაც მიწვა.

მიდის გემი ოდესისკენ,
დატვირთული ძვირფას ხილით;
საღამოა... მზემ ნასხლეტი
დააფრქვია წითლად ჩრდილი.

ზღვა ბორგავს, და გემი სწრაფად
მიაგორებს ზვირთზე ზვირთებს,
წყლის თამაშად ეჩვენება
ეს ხმაური და ეს სივრცე...

ახლაც ნახეთ ბობოქარი,
ინახულეთ კიდევ სხვა დროს,
მიწის გულთან მასაც მოაქვს
ციტრუსოვან ბაღის საზრდო.

მისრიალებს გემი სწრაფად,
დატვირთული ძვირფას ხილით;
საღამოა... მზემ ნასხლეტი
დააფრქვია წითლად რჩილი.

1936 წელი

# ზოოპარკი

მაგონდება ტყე და ველი,
მდინარე და მთები,
სადაც ნაირ სახის ცხოველს
და ფრინველებს ხვდები.
თითქოს კლდიდან კლდეზე ვხედავ
გადარბენილ ჯიხვებს,
ან და ტბაზე მოცურავე
გედებსა და იხვებს.
მაგონდება ღელის პირი,
ბალახი რომ შვენის,
მაღლობიდან ძირს ეშვება
ირემი და შველი.
თითქოს მწვერვალს გადმოევლო
ფრთაგაშლილი ორბი,
შორს ხევებში მგელი ყმუის
და აფთარი მორბის.
მაგონდება, მაგრამ მაინც
ვრჩები პარკის შიგნით,
სადაც კედლებს დაუფარავს
ცხოველების რიგი.
ვხედავ—წევს და ძლივსღა სუნთქავს
ვეშაპივით ლომი,
ის ისვენებს ჭამის შემდეგ,
თითქოს ძილის მდომი.
კედლებს უვლის ჭრელი ვეფხვი,

ალარ იცის რა ქნას,
თითქოს მტრისგან მოელოდეს
შეტევას და დაკვრას.
დათვი ბორგავს გაშმაგებით,
იცქირება ხარბად,
კბილით კანი გაუკაწრავს,
ის აწუხებს, ალბათ...
ვნახე გველი მინის ყუთში,
საკვირველი მეტად...
ახლაც ვფიქრობ: ეს ამხელა,
რამ გაზარდა, ნეტავ?!
ჭამის დროს კი ბიბო[1] ბრაზობს,
ვერ გაუვლი ახლოს,
ოცდასამი წლის „პაცანაც"[2]
გაცინებს, რომ ნახოთ.
მზეზე ბრწყინავს ალმასივით
ფარშევანგის ფრთები;
ახლაც ისევ მაგონდება
ტყე, ველი და მთები...

1936 წელი

---

[1]—[2] მაიმუნების სახელებია

# ალის რაზმი

გაიგონებთ ჩვენს ეზოში
მოუსვენარ ალის სახელს,
თავს რომ უყრის ერთად ბავშვებს
და მჭექარედ ფანტავს ძახილს:
— დადექ რიგში! სწორდით ყველა.
მკერდი წინ და თავი მაღლა!
აქ უცქირეთ ფხიზელ თვალით:
ვარჯიშობას ვიწყებთ ახლა.
სმენა, რიგში სწორდით მარცხნივ! —
ისმის ალის ხმა და სიტყვა,
და ბავშვებიც ასრულებენ,
„უფროსისგან“ რაც რომ ითქვა.
— ერთი, ორი, თავი მაღლა!
მიაბიჯებს კოხტად მწყობრი,
„არმიელებს“ შნოს უმატებს
ფიცრის ხმალი, ფიცრის თოფი.
გააცოცხლეს ეზო, ქუჩა,
მოქმედებენ ერთი აზრით.
გაგაკვირვებს, რომ შეხედოთ,
სიმღერა და ალის რაზმი.
— ერთი, ორი, სწორდი მარცხნივ!
მიაბიჯებს კოხტად მწყობრი,
„არმიელებს“ შნოს უმატებს
ფიცრის ხმალი, ფიცრის თოფი.

1934 წელი

# უსინათლო ბებია

დედის ხსოვნას

ბები გატეხა წლებმა და ჯაფამ
ბები გატეხა დარდის სიმრავლემ...
რას იფიქრებდა, თუ ასე სწრაფად
დააკლდებოდა სინათლე თვალებს!

ბების რამდენი ტანჯვა უნახავს,
ახლაც უბედურს შრომა სწყურია...
მას კარმიდამო, ყანა-ვენახი
უმთვარო ღამით შემოუვლია.

ის იყო მამა, ის იყო დედა,
უკაცო, სახლის გამრჯე მომვლელი,
და აწუხებდა ყველაზე მეტად
ბედი ბავშვების, ბედი ობლების.

დილაზე ადრე დგებოდა ბები,
რომ დაეგავა ეზო და ქოხი...
შორს ყანებიდან ისმოდა ხმები,
ბებისაც იქვე მზად ჰქონდა თოხი.

და ხბოც ბღაოდა ბოსელში იქვე,
ნიშა ელოდა შვილს და მოწველას,
პატარა ბიჭი ლოგინში პირქვე
ტიროდა, მჭადით ითხოვდა შველას.

უყვარდა ბების შრომა და ჯაფა,
მარჯვე მკლავების სად იყო ძალა:
წლებმა გატეხა მშრომელი სწრაფად
და ღლის სინათლე დაკარგა ახლა.

ბებიმ დაჰკარგა თვალის სინათლე
მაშინ, როდესაც ხარობდა გული,
და ცხოვრებაში იმის სიმართლეს
ერგო ასეთი გზა სიხარულის.

მაგრამ რას იზამს ბებია ახლა,
თვალებს აწახებს უსინათლობა!
უყვარს ბაღი და ვენახის ნახვა,
ვაზის შეხებით თავის გართობა.

ვზივართ დერეფნის მზიან კუთხეში,
ვესაუბრებით ერთმანეთს კოხტად...
ახლა შვილია ბების ნუგეში
და ნაღვლობს მაინც: „ასე რად მოხდა?"

ზღაპრებთან ერთად მას უამბია
თავის ცხოვრების უშნო წარსული...
უთქვამს: „სიცოცხლე მე რას მარგია...
მაინც ცხოვრების ვარ მოხარული".

ბების სახეზე ნიშნად აყრია
წლები წარსულის, ტანჯვა ობლების,
ახლა ცხოვრება მას უხარია
თან შვილიშვილი რომ ჰყავს მომვლელი.

1934 წელი

# სურათი

ამ სერიდან გაღმით მოჩანს
აზიდული ცამდის მთები,
მთებსაც ნისლი დაჰფენია,
ნისლი, როგორც თეთრი თმები...

მწვანე ფერდობს ხავერდოვანს.
ამკობს ყანას ოქროს ფერი,
თვალით სივრცეს ჭრი და ხედავ:
მწვერვალები დგანან ბევრი.

მიდიხარ და თანაც ფიქრობ,
რომ გასცილდი ცხრა მთას იქით...
„ვინ დააწყო ქვები ასე?“—
ეკითხები თავს და გიკვირს.

თვალს აყოლებ ძირს და მაღლა:
ბილიკები მოსდევს ნაპრალს.
გაქრა მინდვრის სიფართოვე,
ატყორცნილი მთა მთას აკრავს.

დაქანებულ კლდეს და მაღლობს
შესევია ცხვრების ფარა.
თითქოს მიწა, ველად შლილი,
ბამბის ქულებს დაუფარავს.

შიდიხარ და ფიქრობ მაინც:
სადმე კიდევ ქვა თუ დარჩა?
ამაყ მთების შესარცხვენად
მონგრეული გდია არშა.

ყოველ მხრიდან მოჩანს ისევ
აზიდული ცამდის მთები...
მთებსაც ნისლი დაჰფენია,
ნისლი, როგორც თეთრი თმები...

1935 წელი

## ცისარტყელა

წვიმა შეწყდა და ცისკიდურს
გადაეკრა რაღაც ლურჯად.
რა კარგი და ლამაზია,
რკალივით რომ სახე უჩანს

თითქოს ტყიდან ამოსულა,
გადაშლილა მთიდან მთამდე,
ბების რისხვად მიაჩნია
და ჭორს გეტყვის მასზე რამდენს.

ბების წვიმა უხაროდა,
შეეცვალა სახე უცებ,
ნაღვლიანად ალეწილი
ბუტბუტებს და ზეცას უცქერს.

ამბობს იგი: „შეხეთ ყანებს,
იტყვი, თითქოს არა გვიშავს,
მაგრამ ცაზე ცისარტყელა
მოასწავებს გვალვის ნიშანს".

და მან უკვე გადაწყვიტა
მოსავლის და ხალხის ბედი,
ჩაიქნია ხელი ისე,
თითქოს გაწყრა „ბების ღმერთი".

გუგას უკვირს, ბების სახე
შეეცვალა ნეტავ რაზე,
მაგრამ მაინც ცისარტყელა
მან ინატრა მუდამ ასე.

ბები გაწყრა და მის ნატვრას
მან უწოდა ჭკუა ბრიყვის,
გუგაც დინჯად უპასუხებს:
„ეს ამბავი მე არ მიკვირს,

რადგან ვიცი, როდესაც შორს,
სადღაც იქით არის თქეში,
აქ დარია, იქ წვიმაში
ცისარტყელა მოჩანს მზეში.

აი, ესეც „ღმერთის რისხვა“
შენ რომ აწერ გვალვის ნიშანს,
თუნდაც, ბები, ასე იყოს,
ჩვენ ამითაც არა გვიშავს“.

1935 წელი

[redacted]

# ზეიმის დროს

მე-20 სკოლის მოწაფეებს

როგორ კარგად მოჩანს ქუჩა,
მოღიმარი ხალხის სახე,
ცა ლაჟვარდიც ხალისს ხვდება,
სიო წყნარი დროშებს არხევს.
დიდა არის, სუფთა დიდა,
მოწმენდილი ცა კაშკაშებს!
დღეს რა დაგვლდის მე და ჭერანს
და ჩვენ გვერდით მავალ ბავშვებს!
ბავშვებს ერთად ხმები მოაქვთ
ამ ქუჩით და იქით კიდევ,
რა სჯობია ამ დღეს, ამ დროს,
სიხარულს რომ ველარ იტევ!
გასწი წინ და თან უცქირე
ათას ფერს და მრავალ მოდელს,
ჩვენც ვიაროთ ამ ზეიმის
დამთავრების ბოლო დრომდე.
ნაბიჯი არ შეანელო,
ჩემო ჭერან, რიგს არ დარჩე,
ჩოქურიც ხომ წინ მიგვიძღვის,
კოხტა ბიჭი დოლს ცემს მარჯვედ!
აივნიდან ლეო გვიცქერს,
წითელ დროშას ხელში არწევს,
შეხე, როგორ აირია,

ძირს ქუჩამდე თვალს ვერ აწვდენს!
ჩვენ ხომ ახლა დიდები ვართ,
ლეო წლებს და ქუჩას ნატრობს,
თვალს აცეცებს აქეთ-იქით,
ტიტინებს და ბორგავს მარტო...
რარიგ კარგად მოჩანს შორსაც
ხალხით სავსე ფართო ქუჩა...
მოდის ჯარი, მოდის ავტო,
დასასრული აღარ უჩანს.

1934 წელი

# მორჩა სწავლას

მორჩა სწავლას ჩვენი რაფო,
ესტუმრება მალე სოფელს...
უხარია წარმატება,
გაახარებს ძმებს და მშობლებს.

თვალწინ უდგას ტყე და ველი,
უალერსებს ბალს და მინდორს...
როცა ძროხას ხბო მიბღავის,
მასთან არის თითქოს იმ დროს.

თვალწინ უდგას წისქვილი და,
მდინარეში გასვლა ცურვით...
თვალწინ უდგას... მაგრამ რა ქნას,
წიგნით კლავდა ამდენ სურვილს.

და ხანდახან მასაც წიგნი
შერჩენია ხელში უქმად,
ფიქრში წასულს საყვედური
თავის თავზე თვითონ უთქვამს:

— ხვალ რომ კლასში ცუდად წავდგე,
ეს ხომ ყველას გააკვირვებს!
განა მისთვის მეძახიან
ბეჯითობით კარგს და პირველს?!

და წლის ბოლოს მარჯვე ბიჭი
გამოცდებზე იდგა მაგრად,
აწრიანად ალაგებდა
ნასწავლსა და ნაამაგარს.

მთელმა წელმა განვლო ისე,
ასწორებდა კიდევ სხვებსაც:
ამხანაგის დახმარება
მას მიაჩნდა თავის წესად.

დაასრულა წელი კარგად,
თან მიჰყვება წიგნზე ფიქრი...
ჯილდოდ მისცეს სიგელი და
ფრიადების მთელი რიგი!

დაისვენებს ახლა მაინც,
დააზუსტებს ცოდნის მარაგს,
თანაც ბები მას უამბობს
ზღაპრებსა და მრავალ არაკს...

დაისვენებს, გაერთობა
და გაიჩენს მალე საქმეს:
სურს პირუტყვის შეფი გახდეს,
არ მოუვლის სხვაზე ნაკლებ.

მორჩა სწავლას ჩვენი რაფო,
ესტუმრება ისევ სოფელს...
უხარია წარმატება,
გაახარებს ძმებს და მშობლებს!

1935 წელი

## ზამთრისპირი

აცივდა, და ზოგჯერ თეთრად
იფარება მიწა რთვილით...
ემატება დღეებს სუსხი
საღამოს და ყოველ დილით.

საცა არის გაღმა სერებს,
მთებს და ხევებს მალე დათოვს,
განუწყვეტლივ წვიმს და თქორავს,
მზის სხივები აღარ გვათბობს.

აცივდა, და ხშირად ცაზე
ვხედავ მარტო ნისლს და ღრუბლებს...
დედი ტახტზე ზის და ართავს
წინდისათვის მატყლის ქულებს.

ძაღლი კართან ჩაცუცქულა,
აძიგძიგებს ტანს და კისერს;
თითქოს უნდა ჩემთან იყოს.
მეგობრულად მთხოვს და მიცქერს.

მამაც იქვე დერეფანში
ურმისათვის ხეებს რანდავს,
ქარი ქრის და უსისინებს,
წვიმს ისევ და წვეთებს ფანტავს.

აცივდა, და ზამთრისპირი
წვიმით აღარ გვაძლევს საშველს.
მაგრამ მაინც ეს ამინდი
ვერ გვაშინებს სკოლის ბავშვებს.

საცა არის გაღმა სერებს,
მთებს და ხევებს მაღლ დათოვს!..
განუწყვეტლივ წვიმს და თქორავს·
მზის სხივები აღარ გვათბობს.

1935 წელი

# სახანძრო რაზმის კუთხე

დღეს დეიდამ უთხრა ბავშვებს:
„ჩვენ გავმართავთ ახალ თამაშს,
კარგის სახელს მივანიჭებთ
მარჯვესა და უფრო თამამს.

თქვენ ახლაც კი კარგად გახსოვთ
იმ სახანძრო რაზმის ბინა,
ჩვენ რომ ყველამ აღტაცებით
ვინახულეთ ამასწინათ.

ვნახეთ მათი მორთულობა,
წყლის მილება, გრძელი კიბე.
დიდი ბოჭკით დიდი ავტო
და მრავალი სხვა რამ კიდევ...

და ჩვენ ახლა იმათ მსგავსად
შევუდგებით კუთხის მართვას,
გავაკეთოთ იმნაირად,
მოვაჩვენოთ ყველას მართლად!“

და ბავშვებიც სიხარულით
აგროვებენ ჯოხებს, ყუთებს,
უხარიათ, რომ ექნებათ
მათ სახანძრო რაზმის კუთხე.

შოთაც, მარჯვე „ხელოსანი“,
თითქმის მორჩა ფიცრის ავტოს,
უსვამს ხერხს და თანაც გულში
შოფერობას დიდად ნატრობს!

ნოდარი კი ცულით ხელში,
აწესრიგებს კიბის საქმეს,
გაუჭრია ხე შუაზე,
გაუბურღავს იქით-აქეთ.

ქალაღდისგან კოხტა ქუდებს
კერავს ლია, როგორც იცის,
გაისინჯა თავზე ერთი,
ვერ იჭერენ სხვები სიცილს...

ფანჯრის გვერდით მაგიდასთან
ჩამოკიდეს „დიდი“ ზარი,
„ბოჭკაც“ იქვე მოაგორეს,
ყველაფერი რიგზე არის!

მორჩნენ საქმეს მხიარულად,
მათ სახეზე ღიმი დარჩა,
და საუზმით დაასრულეს
გართობა და სწავლა-გარჯა.

1935 წელი

# მშვილდ-ისარი

ზის ქუჩი და მწარედ ხვნეშის,
გააწამა ისრის გათლამ,
გუშინ უთხრეს: „ოსტატი“ ხარ —
ქს ნათქვამი სჯერა მართლა!

თლის ისარს და თანაც უნდა
გარჯისათვის კიდევ აქონ,
უხარია და თან უჭირს —
ისრის ბოლოს ფრთით რომ ამკობს.

ქუჩიმ ისარს ფრთა გაურჭო,
მოსინჯა და თითქოს ისვრის,
და გარეთ კი ჩიტუნების
ჟივილი და სტვენა ისმის.

თოვს, და აყრის კარებს ფანტელს,
ქარი ქრის და ძალზე სუსხავს;
ფრთებჩამოყრილ ბელურებით
დაიფარა დიდი მუხა...

გამოვიდა გარეთ ქუჩი,
მოუმარჯვა მშვილდი ისარს,
ცალი თვალი მოხუჭა და
მუხისაკენ იჭერს ნიშანს...

და ისარიც გასრიალდა,
გადავარდა სადღაც ხევში,
გატეხილი მშვილდი თოკით
შერჩა მარტო ქეჩის ხელში.

დგას ქუჩი და მოწყენილი
წამდაუწუმ სახეს იცვლის,
მშვილდი გატყდა, და ისარი
სად მოძებნოს აღარ იცის.

ქუჩიმ ოთახს მიაშურა.
მიუცუცქდა იქვე ბუხარს:
ფიქრობს თავის მშვილდ-ისარზე...
გარეთ ისევ თოვს და სუსხავს.

1935 წელი

[redacted]

## დღეები არტეკში[1]

ისმის ხმაური და ზღვის შრიალი,
ხავერდოვანი მოჩანან მთები,
წითლად გაშლილი დროშა ფრიალებს.
და სიხარულით ერთმანეთს ხვდებით,

მხიარულია თქვენი დღეები.
მეც მენატრება ისევ ბავშვობა...
თქვენთან შრიალებს ზღვა და ტყეები,
ბედნიერ ქვეყნის ნორჩო თაობავ!

დასტკბით, გამხნევდით და თან გაკაჟდით,
იმღერეთ ომერად შეწყობილ ხმაზე,
ელვარებს წინა და ცა ლაჟვარდი,
ნორჩი ნკლავები გაშალეთ ზღვაზე.

დგანან ხეები კვიპაროსების,
ტანაშოლტილი სამხრეთის ცამდე...
მზის ცხუნვარებით რომ იმოსებით,
არტეკი გაზრდის თქვენსავით რამდენს!

---

[1] არტეკი ეწოდება პიონერბანაკს (ყირიმში), რომელიც დაარსდა 1925 წ. არტეკში ისვენებენ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხის საუკეთესო მოსწავლე პიონერები.

ჩვეულ ხმაურით აავსეთ სივრცე,
არტეკის მხარე აცოცხლეთ მუდამ,
თქვენ მომავალი იმედით გიცქერთ,
ბედნიერებაც ასეთი უნდა.

უმღერეთ ძმურად ტურფა ცხოვრებას,
გურზუფის ჰაერს, ვენახს და ბაღებს,
გაიზრდებით და გემახსოვრებათ
დაუვიწყარი ბავშვობის სახე.

უმღერეთ არტეკს, უმღერეთ ზაფხულს,
უმღერეთ ქვეყნის დავაჟკაცებას,
უმღერეთ დღეებს განცდილს და ნახულს,
უმღერეთ ისევ თქვენს აღტაცებას!

მხიარულია თქვენი დღეები,
მეც მენატრება ისევ ბავშვობა...
თქვენთან შრიალებს ზღვა და ტყეები,
ბედნიერ ქვეყნის ნორჩო თაობავ!

1935 წელი

# თოვლი მოსულა

დილაა. გარეთ თოვლის ფანტელი
ნელი ფარფატით ირევა ქარში...
როდის მოთოვა, ნეტავ, ამდენი,
თოვლია ირგვლივ მთასა და ბარში.
თოვლია ირგვლივ მთასა და ბარში,
მწვანე ხეებიც თეთრად მორთულა,
მესმის ყვირილი პატარა ბავშვის:
— თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა!
ბიჭო, რა მკვირცხლად გიცინის სახე,
ალბათ, გახარებს ციგა და გუნდა!
რომ არაფერში არ ირცხვენ სახელს —
ბავშვიც ცქრიალა ასეთი უნდა.
ხელებზე გცივა, უპეში მიგაქვს,
იცინი მაინც, კარგი ხარ, კარგი,
ისევ გახარებს გუნდა და ციგა
და შეჯიბრება ტოლ-ამხანაგის.
არ გავიწყდება ფრიადზე სწავლა,
ცოცხალი სახით სკოლაში ზიხარ,
შენ ამ ყოფაში იზრდები ახლა,
შენ ამ წიგნების ალერსი გიყვარს.
კარგი ხარ, კარგი, ჩემო პატარა,
შეხტი, შესძახე ომახიანად,
შენისთანები ბევრი გამხდარა
დღეს მოწინავე ადამიანად.

თოვლიან ქუჩის არ ჩანს ნაპირი,
მწვანე ხეებიც თეთრად მორთულა,
წიგნებით ხელში გარბიხარ, ყვირი:
— თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა!

1934 წელი

# გურა წითელარმიელებთან

ცრიდა ისევ, ცა ლურჯია,
და ლაჟვარდიც ბრწყინავს იმ დროს,
მზის სხივები თავს ევლება
პეპლებს და მწვანე მინდორს.

დილის ხმაურს უერთდება
არმიელთა ტკბილი მღერა,
მიდიან და გზას მიჰყვება
მათთან ერთად „ვაშა, რე-რა“.

გურაც ჭიშკარს გადმოევლო
და სიჩქარით მათკენ მორბის;
როგორც მუდამ, ისე დღესაც
მხარს უმშვენებს ფიცრის თოფი.

დილა არის, და სიცოცხლე
ეფინება ირგვლივ სივრცეს:
ბალახებზე ცვარი ბრწყინავს,
მზე თანდათან მაღლა იწევს.

ხედავს გურა, შორს მინდორში
თეთრი რაღაც დადგეს ნიშნად,
თან ნაბიჯით გადაზომეს
სისწორე და სროლის მიჯნა.

ერთი, ორი! ტყვია ტყვიას
მისდევს სწრაფად, გაჩნდა ცეცხლი:
მზის სხივებზე აელვარდა,
თოფის ლულა, როგორც ვერცხლი.

გურა სწრაფად ილებს სასროლს,
ნიშანს ჭვრეტს და თვალით მართავს,
მან რა იცის, არმიელებს
თუ აცინებს იგი მართლა...

გურას უთხრეს; „ჩემო კარგო,
შენი თოფი ტყვიას ფანტავს“ —
და დარწმუნდა, როცა ნახა;
მონახვედრი არსად ჩანდა.

რას იზამდა! დარცხვენილმა,
მოიბრუნა უკან პირი,
თოფი განზე გადააგდო
და ზლუქუნით მოჰყვა ტირილს.

1936 წელი

[redacted]

# გუგული

„გუგუ! გუგუ! მიჯობნია!“ —
გადმომძახე გუშინ დილით,
გარიჟრაჟი არც კი იყო,
თვალზე მადგა ისევ ძილი.

ალბათ, დღესაც კიდევ ჩქარობ
და დაეძებ ახალ ბუდეს,
რომ კვერცხები დასდო მალვით,
სდარაჯობ და ღამეს უთევ.

ერთი მითხარ, როგორ იტანს
მაგ ხასიათს დედის გული,
შვილებისთვის გენანება
ალერსი და სიყვარული?!

თანაც გხიბლავს ეს წარმტაცი
გაზაფხულის ტყე და ველი,
მაგრამ მე კი რად დამნავსე
რად აიღე ჩემზე ხელი?

რად არ გჯერა ჩემი სიტყვა,
გეფიცები დედას მართლა,
ჩემ სიკეთეს სხვაც კი გეტყვის,
შოშიის და მერცხლის გარდა...

ან კი რა მაქვს შენთან სამტრო,
რას დამაკლებს შენი „გუგუ"?
ჩემ ფრიალებს რომ შეხედო,
გულს გაუპობს ათას გუგულს.

ვიცი, გხიბლავს ეს წარმტაცი
გაზაფხულის ტყე და მთები,
იფრინე და ინავარდე,
სანამ შეძლებს შენი ფრთები!

1936 წელი

[redacted]

# ნაჩუქარი ჯოხი

ვუძღვნი მე-55-ს კ. მე-7 კლ. მოსწავლე
ვასო მეზვრიშვილს

შენ მაჩუქე ჯოხთან ერთად
მხიარული ბავშვის გული,
ეს ჯოხი ხომ ნიშანია
სიცოცხლის და სიყვარულის.

აქ ნორჩები ცქრიალებთ და
თან ვაჟდებით მკერდგაშლილი,
განთიადს და მზეს სიცილით
ეგებებით ყოველ დილით.

მხიარული რომ ხართ მუდამ,—
მიხარია თქვენი ნახვა,
თქვენთან ერთად ბურთაობა,
თითქოს ბავშვი ვიყო ახლა.

იზრდებით, და თქვენი გაზრდა
მომაგონებს ვარდის კოკორს;
ეს უბრალო ნაძვის ჯოხი
მირჩევნია ათას ოქროს.

1936 წელი

# აკაკის

შენც ხომ იყავი ჩვენებრ პატარა,
პატარა ბიჭი ხალისით სავსე,
თუმცა ცხოვრებამ სხვა გზით გატარა
ყმაწვილკაცობის ეკლიან გზაზე.

გაგიხარია ბავშვური ხედვით.
მინდვრად პეპლებს შენც ხომ იჭერდი,
გულით გიყვარდა სხვიტორის ქედი
და სავანელი გლეხის ბიჭები.

გინახავს წვიმა, ღვარი და თქეში,
დაგიდგამს რუზე წისქვილი ბორბლით,
თითქოს იყავი მოხრილი წელში
მოხუცი კაცი, დამფქველი ხორბლის.

გახსოვს ზამთარი, გუნდა და ციგა,
ცეცხლით შერუჯულ მუხლების ფერი,
იქვე გლეხებთან ლექსებიც გითქვამს
და შაირებიც ბევრი და ბევრი.

მაგრამ სხვა იყო ჟამი ცბიერი,
მწარე ნაღველი გულში რომ დაგრჩა,
ნახე, იგემე სულ სხვა იერი —
ზოგის განცხრომა და ზოგის გარჯა.

იცავდი ჩაგრულს, მიგაჩნდა მოძმედ,
გულს არ იტეხდი მაინც ჭალარა,
მრავალ დროების იქნება მოწმე,
შენი დაფი და შენი ნალარა!

ჩვენ სულ სხვა გზებით მივდივართ ახლა...
ჩვენ ახალ ქვეყნის გულში ვიჭრებით...
რარიგ ხარობენ, ნეტავ განახვა,
დღეს სავანელი გლეხის ბიჭები...

1935 წელი

[redacted]

## სიხარული

ბაბუ, იცი, ჩვენი სკოლა
ყვავილებით როგორ მოვრთეთ?
თან ფერადი ქაღალდები
ამშვენებენ მწვანე ფოთლებს!

მაგონდება გაზაფხული,
სიხარულიც გულში ღვივის,
თავს გვადგია ოქროს ხვავად
ჩვენ ოქტომბრის მზე და სხივი!

ვეტრფით დილას, მზეს და ლაჟვარდს,
ვეტრფით წლებს და დღეებს დიადს,
ვხარობთ ყველა, კარგი სწავლით
ფრიადები მოსდევს ფრიადს.

— ვიცი, ვიცი, შვილო ჩემო,
ეს ცხოვრება რარიგ ბრწყინავს!
მე შენ ტოლა ცქრიალა ბიჭს
მხოლოდ ტანჯვა მქონდა წინათ.

მე სიბერე მაწევს ტვირთად,
მაგრამ არ ვგრძნობ ამ წლებს ეხლა..
კიდევ მინდა, რომ ვიცოცხლო
და ვიხარო მეც ამ ქვეყნად;

კიდევ შევხვდე გაშლილ დროშებს,
ეს ჭაღარა წვერიც მქონდეს,
დიდ სამშობლოს სიყვარულით,
მოხუც მკლავში ჩქეფდეს ღონე.

—ჰოდა, ბაბუ, ამ ცხოვრებით
სიხარული გულში ღვივის,
თავს გვადგია ოქროს ხვავად
ჩვენ ოქტომბრის მზე და სხივი!

1936 წელი

## წერილი არახლუელ გამიდას

ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ისე,
თითქოს გული მქონდა ბავშვის,
თან ხელებით ვსაუბრობდით
და ვუცქერდით მინდვრებს გაშლილს...

ოქტომბრელის სიხალისე
და სიმკვირცხლე შენში ჩანდა,
მეც ვინატრე ეგ ასაკი;
წიგნები და სუფთა ჩანთა.

ვსაუბრობდით... შენი სახე
გავდა უფრო ვარდის გაშლას,
და ორივეს გვახარებდა
გაზაფხულის მზე კაშკაშა.

შენ არ გახსოვს დღეთა რისხვა,
აფეთქება ხრამზე ხიდის,
ბოლნისს იქით ტყვიის წვიმა,
სიმწარე და ნგრევა დიდი.

ნორჩი ხარ, და ნორჩი გული
ვერ აიტანს იმ ძველ ამბავს,
ისწავლი და წიგნის სიტყვით
ამოკრიფავ ხარბად ანბანს.

მჯერა, ახლაც კარგად სწავლობ,
თან ანკესით თევზებს იჭერ...
გწერ ბარათს, და მომიკითხავ
არახლუელ შენ ტოლ ბიჭებს.

თითქოს გული მქონდეს ბავშვის
თითქოს იყო ჩემთან ახლოს,
მკვირცხლი ხმით და სიხალისით
კიდევ მესმის „სანდა სალოლ“.

1936 წელი

## ჯაფარას წერილი დედას

დედავ, გიკოცნი მკერდს და ძუძუებს.
დედავ, გიკოცნი ტუჩებს და თვალებს,
ვფიქრობ, დღეები გაივლის უცებ,
და მეც სოფელში ვიქნები მალე.

მახსოვს: ბავშვები, ეზო და სახლი.
შორს გაწოლილი ხეების ჩრდილი...
ახლა ნიავი ფოთლებს რომ არხევს,
ანდა რომ ბზინავს ბალახი დილით...

ხშირად ფიქრებით, სიზმრად და ცხადად,
სოფლის შარაზე ვეშვები დაღმა.
თვალწინ მიდგია ფისუა — კატა;
ალბათ, ნუკრიაც სულ დიდი გახდა...

შენ კოლექტივში, ძვირფასო დედი,
უვლი ბოჩოლებს, ბატკნებს და თიკნებს,
მაგათ შესახებ წინათაც გწერდი,
რომ დამიკოცნო ყველანი იქნებ...

მახსოვხართ, ჩემო, მაგრამ არც ისე,
რომ დავივიწყო წიგნი და სწავლა...
გულს სიხარულით ნიშნები მივსებს
და თან ცქრიალა ბავშვებში გავლა.

აქაც ბევრია ბაღი და მწვანე,
ჭადრების რიგი ამშვენებს ქუჩებს,
დგანან მოხდენით... მუდამდღე რწყავენ
დიდრონ ხეებს და პატარა ბუჩქებს.

ქალაქმა ისე იცვალა სახე,
რომ ვეღარ იცნობ სრულიად, დედი,
ამ ფართო ქუჩებს და მაღალ სახლებს...
შენც შეგახედა, ნეტავი, ერთი!

კიდევ დღეები სულ ცოტა დარჩა...
შენ არ იფიქრო ვცულლუტობ, განა!
ვიცი, სოფელი ახლა გავს ფარჩას,
და რარიგ ამკობს ნადური ყანას!

მოვალ, ნიშნებიც მექნება კარგი,
ეს დროც სწავლაში გაივლის მალე,
ვითვლი დღეებს, რომ ავიკრა ბარგი...
დედი, ამ ფიქრით გიკოცნი თვალებს!!

1935 წელი

## დედის პასუხი ჯაფარას

მწერ, შვილო, მაგრამ ისედაც ვიცი,
ახლა თბილისის ზეცაც კი ყვავის.
აქეთაც ნახე ამ ჩვენი მიწის
დოვლათის ზღვა და მოსავლის ხვავი.

ალბათ, კიდევაც გადაგავიწყდა
ხავერდოვანი ველების გული;
ჩამოხვალ, ბიჭო, ნახე და იცან
ტყე-ვენახები მზით მოქარგული...

ქალაქში მაინც ნეტავ რად გიკვირს
ქუჩების მორწყვა, დიდი სახლები?
მგონი, არ ვცდები, და, ჩემი ფიქრით,
ჩვენც მოწინავე მალე გავხდებით.

შენ ჯერ არ იცი, შვილო, იმდენი:
წარსულ ცხოვრების გმინვა და შფოთვა·
ახლა სოფელში ყველა ვმდიდრდებით,
გააქვს კრიალი ეზოს და ოდას.

დილა თენდება გრილი და სუფთა,
ლურჯად გაშლილა ყანა და ზვარი;
ბაღი დამწიფდა, დაშაქრდა თუთა,
მოლზე ვერცხლისფრად ელვარებს ცვარი.

გულსაც მიხარებს შენი წესრიგი,
ფრიადოსანი ყოფილხარ ბიჭი;
გიყვარს ბავშვები, სკოლა და წიგნი
და, თურმე, სწავლა სულაც არ გიჭირს.

ჩამოხვალ, ბიჭო, ნუ აჩქარდები,
ითვლი დღეებს და გესწრაფის გული;
ბაღში დაგხვდება ისევ ვარდები
და ვენახებიც მზით მოქარგული.

1935 წელი

# მჟავე წყარო

ვნახე წყარო მოლიკლიკე.
ელვარებდა თეთრად მზეზე,
და პატარა ცელქი ღვარი
გადარბოდა ქვიდან ქვებზე,

კრიალა და მოჩუხჩუხე,
სარკესავით სუფთა, წმინდა...
განთიადს რომ ერთად შევხვდით,
ახლაც მისი ნახვა მინდა.

თვალწინ მიდგას ის ადგილი,
შეღებილი ქვა და მიწა,
მოლაპლაპე ჟანგისფერი
იმ მიდამოს წყალმა მისცა.

ვფიქრობ, ნეტავ ახლაც ვსვამდე
ბუქლებიან კობის ნარზანს,[1]
ასე კარგი მჟავე წყარო
არ მინახავს ჯერ მე არსად.

**1935 წელი**

---

[1] კობის ნარზანი სოფელ ყაზბეგის მახლობლად მჟავე წყლის სახელწოდებაა.

[redacted]

# ირემი კომკავშირის მთაზე

ირემო, მთაში გაზრდილხარ,
ტყისა და მთების მნახველი...
ბარშიაც გერგო სიცოცხლე
კომკავშირის მთის სახელით.

„ირემო, მთასა მყვირალო,
რად ჩამოვარდი ბარადა?“
ბარში ხარ, ამ მთას ამშვენებ,
არ ეხეტები ცალადა.

ქალაქი შენ არ მოგაწყენს
კაშკაშა, მუდამ ხმიანი,
ჩვენი ცხოვრება დაგატკბობს
საამური და მზიანი.

გიკვირს, ეს რა მთა ყოფილა,
ამდენი ხალხი მავალი;
დღის სიკაშკაშე გეფიქვევა
და კიდევ მთვარე მრავალი.

„ირემო, მთასა მყვირალო“,
ბარში ხარ, ბარად მოსული;
ქალაქი შენ არ მოგაწყენს,
მწვანე ბაღებით მოცული.

ძირს ნაკადული ჩხრიალებს,
მზე დაფრქვეულა სხივებად,
აქ ყვავილებიც ხარობენ
აფერადებულ მძივებად.

ხარობენ მწვანე ბუჩქები...
გული ხალისით გამთბარა;
— ილემო, ცემო ილემო, —
შემოგტიტინებს პატარა.

მთას დარჩა შენი ნახტომი
და სხვა ირმების დღეები,
მათაც იხარონ შენსავით,
ახარონ მთა და ტყეები.

„ირემო, მთასა მყვირალო“,
ბარში ხარ, ბარად მოსული;
ქალაქი შენ არ მოგაწყენს
მწვანე ბაღებით მოცული.

1936 წელი

# ირმის ნახტომი

მზე რომ სხივებს აციმციმებს, —
ცვარი ბრწყინავს, როგორც ბროლი,
და პრიალებს მთა, მოსილი
ხავერდოვან მწვანე მოლით.

იქარგება მთის კალთები
აბრეშუმის ნაქსოვ სირმით...
ძირს კაკაბი შეფრთხიალდა
სერს მოევლო ფეხი ირმის.

შურდულივით მოსწყდა მაღლობს,
უალერსებს ბუჩქს და ბალახს,
ცერზე ხტის და საცა არის
ხევს ეწვევა ბევრჯერ ნანახს.

მოხტის დედა, მუდამ ფრთხილი,
თავს ევლება ლამაზ ნუკრებს;
თუ ფოთლების შრიალია, —
ყურს აცქვეტს და ნაბიჯს უკლებს.

მოკუნტრუშებს ლალად ცელქი,
თითქოს მასთან ცეკვავს ჩრდილიც,
ლელის პირას წყლის სარკეში
დგას ირემი რქებგაშლილი.

აბრეშუმის ნაქსოვ სირმით
მზეც დაეშვა მთების ახლოს,
ოქროსფერად დაეფრქვია
ხის ფოთლებს და ირმის-ნახტომს.

1937 წელი

[redacted]

# ესპანელ ბავშვს

ამ ზღვებსა და ამ მთებს იქით
ახლაც ისმის შენი კვნესა;
ჯერ თქვენ ცის ქვეშ სიბნელეა,
ელოდება ყველა მზესა.

დღე თენდება და მტრის ტყვიას
მოაქვს დარდი, ცრემლი, ოხვრა,
მაგრამ გმირებს არ სჩვევიათ
ლაჩრობა და ქედის მოხრა.

ამ ზღვებსა და ამ მთებს იქით
ვხედავ მარტოდ დაყრილ ობლებს,
შენი ხმაც ხომ გულს მილონებს,
ცრემლს რომ ღვრი და ტირი მშობლებს!

ცუგრუმელავ! რად მოგიკლეს
ბავშვობა და დედის გული,
რისთვის გერგო შენ ეგ დარდი
და ცხოვრება ასე კრული!

ან ყუმბარის ნამსხვრევებმა
რად გაგწირა ცელქი ბიჭი,
უფეხოს და უდედმამოს
შენ ცხოვრება გძაგს და გიჭირს!

ნეტავ ახლოს იყო მაინც,
გიპატრონოთ ობოლ ყმაწვილს,
დაგიბრუნოთ სიხარული
სამშობლოში სისხლად დაცლილს.

დაგენაცვლოს, ბიჭო, ჩვენი
მხიარული გულის ძგერა,
ჩვენთან ერთად შენც გატკბობდეს
ბედნიერი ბავშვთა მღერა.

გამხნევდი და შენ სიხარულს
მოვესწრებით ჩვენაც მალე...
ახლა ყველა სალამს გიძლვნით
და გიკოცნით შუბლს და თვალებს!

1937 წელი

# ჩიტის ბუდე

ხე შრიალებს და ირწევა
აკვანივით ნელა,
დგას გაშლილი მუდამ ასე,
გზის და ველის მცველად.
საამოა ბალახებზე
გაწოლილი ჩრდილი
და ფოთლებში მოჟღურტულე
ჩიტუნები დილით.
აქ მგზავრებიც ისვენებენ,
აამებენ კუნთებს,
მაგრამ ტოტზე ვერვინ ამჩნევს
ტოტისფერა ბუდეს.

დარბის ლეო, არ ისვენებს,
დარბის ცელქი ბიჭი,
ხან ბლის ტოტზე მოექცევა,
და ხან პეპლებს იჭერს.
ჭოხსაც მარდად მოახტება,
— აცე, ვირო, აცე!
შემოირბენს მთელ უბანს და
აიყოლებს ანცებს.

ხე შრიალებს და ირწევა
აკვანივით ნელა,
ლეოც ისევ დაჯირითობს.
გაჭრილია ველად...
მოიარა ტყე-მინდორი
მან ტოლებთან ერთად,
ამ სერს გაღმა ჩირგვნარებში
ბევრი „ბრძოლა“ შეხვდა.
ჩიტის ბუდე ვერ იპოვა,
მოუხშირა სუნთქვას,
გზაში ხეებს არ ტოვებდა,
მოიარა სულ მთლად.
ბოლოს ჯერი ხვდა ამ ხესაც,
ლეო მაღლა უტევს...
ძირს ყვირილით გადმოსძახებს.
— ვნახე ჩიტის ბუდე!
ჩიტის ბუდე, შიგ ბარტყები,
პატარანი ისევ
პირს აღებენ საჭმელისათვის,
იგრძელებენ კისრებს...
ლეომ ყველა უბისაკენ
გააქანა მყისვე,
გადმოეშვა ხიდან სწრაფად
თან ბარტყებიც მიჰყავს,
და მან ყური არ ათხოვა
დედაჩიტის რისხვას.

რით იხარონ აწ „მშობლებმა“ —
დარჩათ ბუდე ობლად!
გაატანეს თავის ბარტყებს
ჟივილი და ოხვრა.

მწარე ხვედრით გულმოკლულნი
დაფრინავენ ველად,
ეს რა დილა გაუთენდათ
მათ სიცოცხლის მწველად!
რა ჰქნან, შვილებს რით იხსნიან,
რომ არ ძალუძთ შველა?!

ლეო ფიქრობს, ამ საქციელს
მოუწონებს დედა.
მაგრამ დედა შვილის ალერსს
წარბშეკრული შეხვდა,
და ილომაც, უფროსმა ძმამ,
შეუტია ფიცხლავ...
ლეო ქებას მოელოდა,
შერჩა მხოლოდ კიცხვა,
მოიწყინა, მოიღრუბლა,
არ უცინის სახე,
თანაც ფიქრობს: „ჩიტის ბუდეს
მე ხელს აღარ ვახლებ!"

საღამოჟამს, როცა ირგვლივ
ქროდა სიო ნელი,
ჩამავალ მზეს დაევერცხლა,
მინდორი და ველი,
დაევერცხლა ხის ფოთლებიც
მზის სხივების კრიალს,
და ბარტყებიც შეჰხაროდნენ
დედაჩიტის ფრთხიალს.
ახლა ისევ საამურად
ჭღურტულებდა ყველა.

ხე-შრიალა აბრეშუმი —
ირწეოდა ნელა.

ლეო უკან ბრუნდებოდა,
უცინოდა სახე,
თან ფიქრობდა: „ჩიტის ბუდეს
მე ხელს აღარ ვახლებ!“

1937 წელი

# ფოთლები

როცა სიო გაშრიალებთ,
შარიშური ისმის მაშინ,
თქვენც, ჩიტებო, ინავარდეთ
მაგ ფოთლების მწვანე ზღვაში.

თითქოს გული ყლორტს ესხმება
და ვიზრდები ყლორტის ღეროდ...
იშრიალეთ, იშრიალეთ,
რომ შრიალმაც დაიმღეროს!

მე მახარებს კვირტის თვალი
და ფოთლები კიდევ უფრო,
ბუჩქებს, ხეებს, პლანტაციებს
ვეკისკისო, ვესაუბრო.

ვესაუბრო, მაგრამ სიტყვას
ვერ დაიტევს ლექსის პწკარი,
დავეპკურო თქვენს სიმწვანეს
ვიყო მაინც დილის ცვარი...

იშრიალეთ, იშრიალეთ,
უალერსეთ ოქროს ნაყოფს;
თქვენთან ერთად ყვავის მიწაც,
მზე კაშკაშებს და მზე გამკობთ.

1937 წელი

# ორი მეგობარი

ბუხრის წინ ზის უდარდელად
ჩვენი ფისო, თაგვის მტერი,
ეშმაკია, გივის უყვარს,
ოინები იცის ბევრი.

ხან კრუტუნებს, ხტის და კნავის,
ხან სარდაფში „მტრის კვალს“ ეძებს,
ხან ეზოში გაგორდება,
ნებივრობს და ტკბება მზეზე.

ხან მორგვიდან ბურდა-ბურდა,
იხლართება ბების ნართი,
ტახტის ქვეშ რომ „ახვევს ჯარას“
ხტუნია და მარდზე მარდი.

ხან ძაღლებსაც ეჩხუბება,
ამაყი და გმირი გახდა,
ესეც მისი გულადობა:
შეხედეთ და ხეზე ნახავთ.

სკუპს ტოტზე და შიშით ღამის
დაენარცხოს ხიდან მიწას,
თითქოს ნატრობს გივის შველას,
ანდა ძელზე როცა იწვა.

ახლაც ისევ ცეცხლის პირას
ზის ფისო და თვალებს ნაბავს,
გუშინდელი განსაცდელი
დაავიწყდა სულაც, ალბათ.

გივი მისი დამხმარეა,
მიაჩნია მარჯვე ბიჭად,
უდარდელად თათს ლოკავს და
ულვაშებზე ისვამს დინჯად.

პირს იბანს და ულვაშს იგრეხს,
ესმის თანაც „ციცი, ციცი...“
ნეტავ რაა, ველარ არკვევს,
გივის ხმას და გივის სიცილს.

თვალი მოჰკრა ძაღლის ღრენას,
ფხუკ-და აღგილს მოსწყდა უცებ,
გივიც რისხვად მოეჩვენა
კანკალებს და გული უცემს.

ფისომ პირი დაიბანა,
ტახტის ქვეშ ცუცქს იგი ახლა,
და გაბუტულ ორ მეგობარს,
ხვალ ჩვენ ისევ ერთად ვნახავთ.

1936 წელი

# წიწილა

წია, წია! მაგ წიწინში
დღეს სულ მაინც ველარ გიცან
ოქროსფერი ფაფუკ ღინღლით,
ფუნჩულა და ერთი ციცქნა.

წია, წია! ხომ არ გშია,
რომ უმატებ უფრო წიწინს
და, რა ვიცი, ჩვენი კრუხიც
თავს გევლება ლამაზ წიწილს,..

მითხარ, ერთი, რად იწუნებ
სუფთა ფეტვის ამდენ მარცვალს?
თუ სხვასავით შენაც გინდა,
ქექო მიწა საჭმლის ნაცვლად?!

გატყობ, რაც არ გიამება
პატარას და თანაც თოთოს,
მაშ ჭუკებთან იყავ აქ და
მე მოვხარშავ ჭინჭრის ფოთოლს.

ჯუჯუ, ჯუჯუ, ჩემო წიწი,
შიგ ავურევ ფქვილს და შაქარს,
ოღონდ ტკბილად შეექეცი,
შენი იყოს ჩემი კაკაც.

მხოლოდ წუღარ გამაგონებ
მაგ ხმასა და უშნოდ წიწინს:
წია, წია არ შეშვენის
შენისთანა ლამაზ წიწილს!

1936 წელი

# ფიფქები

ცრის, და თანდათან უმატებს ფიფქებს,
ცრის, და ირევა თოვლის ფანტელი;
ჩვენ ეს სიცივე სულ არ გვაფიქრებს
და არც გვაშინებს კორიანტელი.

ცრის, და მიდამო ირთვება თეთრად,
მართლა ზამთარიც ასეთი უნდა...
დღეს ვისრიალოთ სუყველამ ერთად,
ჰეი, ბიჭებო, ციგა და გუნდა!

ჩვენ ხომ სწავლაში გვაქვს ფრიადები
და ციგაობაც განა ძნელია?!
წავიდეთ ბარემ, ნუ ვგვიანდებით,
საღამოს ისევ შინ მიგველიან.

წავიდეთ ჩქარა, ყიჟინა ისმის
და გუნდაობაც გავმართოთ იქვე...
თოვაა ისე, თითქოს დგას ნისლი,
ცრის, და უმატებს თანდათან ფიფქებს.

ცრას და ითოვოს, ითოვოს კიდევ,
თოვლი მოვიდეს ამაზე ბევრი;
თეთრად დაფარულ მთებსა და მინდვრებს
ჰეი, ბიჭებო, ჰერი და ჰერი!

1937 წელი

## იტიტინე

მოდი ჩემთან, იტიტინე,
მესაუბრე, როგორც გინდა,
მე პატარას სურვილები
მსურს ავკინძო მაგ შენ ხმიდან.

მითხარ კიდევ, რომ გავიგო
„ჩიჩი“, „ამუ“ ან და „ფია“...
ენას იტეხ, თან გაცინებს
ჩვენი ფისოს „მია, მია“.

მაღხაზო და ცელქო ბიჭო,
რა გაშინებს, „ბუა“ გაქრა...
ლალა... ლალა... ელთი, სამი,
ძია, მომე ოლი კაკა!

ჭოდა ასე იტიტინე,
მსურს მატკბობდეს შენი ენა,
კვლავ ბავშვობა მაგონდება
და სიზმარში მაღლა ფრენა.

სანამ გშვენის ეგ ცელქობა, —
იხტუნე და „ტაში, ტაში“,
მე მახარებს შენი ცქერა,
რომ სიცოცხლე ჩქეფს მაგ ხმაში.

იტიტინე, იტიტინე,
დაუარე უჟრო კარგად..-
ღაღა... ღაღა... კიდევ ეღთი,
ძია, მომე ოღი კაკა!

1936 წელი

## ნაზიას ფისო

ამ ჩემ ფისოს კუსუ ჰქვია
და თამაშიც იცის კარგი,
სხვა ფისოებს რომ სჯობია,
რაღაც უნდა ლაპარაკი.

მოდი ჩემთან, ჩემო კუსუ;
შე თაგვების დიდო მტერო,
ულვაშებით უფრო კოხტა,
ლამაზო და მშვენიერო!

კუსუ ცელქო, ცუგრუმელა,
რატომ გცემა ბებიმ მაგრად?
რომ მოეკალ, რაღა მექნა,
მე უშენოდ ხომ არ ვარგვარ!

მოიშალე ეგ წუწკობა
ნუ მოჰყვები ხშირად კნავილს,
მე თუ აღარ გეცოდები,
შეიცოდე შენი თავი!

გამიგონე, ნუ წრიალებ,
მოიკეცე ცეცხლთან თბილად,
ღამე არვინ მოგეპაროს —
ჰა, ეს ჯოხი, იყავ ფრთხილად!

კუსუ, კუსუ, ჩემო კუსუ!
ჩიჩიასაც გაჭმევ ახლა,
შემდეგ ტკბილად დაიძინე,
შენც ჩემსავით სიზმრებს ნახავ.

ჰოდა ასე, ჩემო კუსუ,
არ გიკბინოს დიდმა ვირთხამ,
ულვაში არ შეირცხვინო
და გახსოვდეს, რაც რომ გითხარ!.

1936 წელი

# ყაყაჩო

რა ლამაზად მოურთიათ
ყაყაჩოებს მწვანე ველი,
იყვავილონ, იკეკლუცონ,
არ შევახოთ, ბიჭო, ხელი!

რა კარგია ამ სიწითლით
ანთებული მიწის გული...
თვალი რასაც კი მისწვდება,
მინდორია მოქარგული.

მინდორია მოქარგული,
მობიბინე წითელ ქოჩრით,
თანაც თითქოს ხავერდია
ჭეჭილების ყანა ნორჩი.

ილაქლაქეთ, ყვავილებო,
ელვარება გქონდეთ მუდამ,
ჩვენც მოგვკითხე სიხარული,
ანდა სწავლა როგორ უნდა.

1937 წელი

# ოქტომბრის დილა

მზე კრიალებს, ქალაქს გული
გადუშლია ლალის მსგავსად,
მიწა ასე მოქარგული
არ მინახავს მე ჯერ არსად.

მზე კრიალებს, დროშის კალთებს
დაფრქვევია ოქროს მძივი;
სიხარულით გულებს ანთებს
ათასების ხმა და მწკრივი.

დღემ დოვლათის ზღვა გაშალა
კოლონების ურიცხვ ტევრით,
ქუხს სიტყვები, ვით შაშხანა:
„სტალინი“ და „ოქტომბერი“!

მზე კრიალით სწვდება მიწას,
ელვარებს და იფერება,
სიტყვა საქმედ გადაიქცა,
ხალისიან სიმღერებად.

მეც მოვდივარ დროშის რხევით,
ვაჟკაცურად მხრებგაშლილი,
და ვამაყობ, რომ ვიმღერი
ბედნიერი ქვეყნის შვილი.

დღემ დოვლათის ზღვა გაშალა
კოლონების ურიცხვ ტევრით,
ქუხს სიტყვები. ვით შაშხანა,
„სტალინი“ და „ოქტომბერი“!

1937 წელი

# ვ ა ზ ი

გადაგრეხია ჭიგოს ყლორტებით
ვაზი აყრილი, ლერწებმაგარი,
ცვარში კრიალებს ლურჯი ფოთლები —
ვაჟკაცის ხელით ნაამაგარი.

გადაგრეხია ლერწებს ლერწები,
ზვარში ჩამდგარა მზის ბრწყინვალება,
დაყურსულ მტევნებს ეალერსება
ყოველი ფოთლის აშრიალება.

გულიც ხალისით ფეთქს და ხმიანობს,
რთველს რომ უმღერის ახალგაზრდობა..
დაშაქრდი, მარცვლებბარაქიანო,
ზვარში ჩამდგარო ყურძნის ქარვობა.

ვაზო აყრილო, ლერწებმაგარო,
იზარდე ასე, როგორც გაზრდილხარ...
ვაჟკაცის ხელით ნაამაგარო,
ჭირიმე ჩხებო, კოხტა ვაზისა!

1937 წელი

# სიმღერა ნაძვის ხეზე

მზე ამოსულა... ბროლის მძივები
მწვანე ტოტებზე ელავს, კრიალებს...
მზე საახალწლო, ოქროს სხივებით,
ტყეში ნაძვებსაც შეაშრიალებს.

მზე ამოსულა... ვარდის გულივით
აწითლებულა ბურთი მრავალი,
ტოტი ექვნებით მოქარგულია,
ძირს კი ბრჭყვიალებს თოვლის საბანი.

მზე ამოსულა... შუქი ნათელი
ოთახში ბრწყინავს სხივთა ციმციმით,
ხეს დაფრქვევია ბრილიანტები
და მხიარული მღერა-სიცილი.

მზე ამოსულა... მოგვაქვს მხნეობა,
ფეთქავს ხალისით გული ავსილი,
ეს სიკაშკაშე და ეს მზეობა
ცეკვავს ჩვენსავით ფერხულგაშლილი.

მზე ამოსულა... ბროლის მძივები
მწვანე ტოტებზე ელავს, კრიალებს...
მზე საახალწლო, ოქროს მძივებით,
ტყეში ნაძვებსაც შეაშრიალებს.

**1937 წელი**

## სერგო ორჯონიკიძეს

დედის ალერსით თვალებში
სხივი ელავდა მზისა,
ხმა შეემატა ღარიბ ქოხს
ახლადნაშობი ძისა

გულში იკრავდა ბებია
ბავშვის მტირალა სახეს,
გახარებულმა ქალებმა,
მგონი, ათასჯერ ნახეს.

დაულოცეს და ახარეს
მამას ბუთხუზა ბიჭი,
ყრმას სივაჟკაცე უსურვეს
და თან ცხოვრების ნიჭი:

„გაიზარდოს და ქომაგი
მხარში დაუდგეს მამას,
ალალი იყოს ვაჟისთვის
დედის ძუძუ და ნანა!“

ქოხს სიხალისე ეწვია,
ეზოც ხარობდა კიდევ,
მზის სიკაშკაშე ქარგავდა
ლორეშის მთებს და მინდვრებს.

წლებმა გრიგალში ატარა,
თვითონ გრიგალი გახდა,
ხალხის ლვიძლი და მესიტყვე,
გულით მივიდა ხალხთან.

ხალხს დაუტოვა სიცოცხლე
ჯერ კიდევ ჯანით სავსე,
ბელადის მხარის დამშვენი
დაეცა ბრძოლის გზაზე.

სერგო, დიდების სახელით
ხალხში იცოცხლებ მარად,
დიდი, ბავშვი და მოზარდი
არ დაგივიწყებს, არა!

1937 წელი

# შოთას სურათს

მზის ციმციმი აელვარებს
შენს სახეს და ოქროს კალამს,
გაშლილ შუბლზე სიბრძნე ფეთქავს
უკვდავების მტკიცე ძალად.

როს გიცქერი, მაგონდება
ტარიელის ვეფხთან შებმა.
ვაჟკაცების ვაჟკაცობა
და გმირების მთელი წყება.

შენ ცეცხლივით გრძნობას ანთებ
ათასწლოვან სიმთა ჟღერით:
ახლაც თითქოს ველს გაჭრილი
ავთანდილი კიდევ მღერის.

მზე ხარ სითბოდაუშრეტი,
მარგალიტის სხივთა მფრქვევი,
შენ, აზრების ჩირაღდანო,
ცოცხლობ ხალხში და არ კვდები.

კვლავ გვიტაცებს ლექსის აზრი
და ბრწყინვალებ მზიურ სახით,
შოთავ, ვეფხისტყაოსანით
ახლა უფრო დიდი გახდი,

და ფიქრებით ალტაცებულთ
გვაცისკროვნებ რიჟრაჟივით,
შენ სურათის იქით მოჩანს
ფალავნები მხრებგაშლილი!

მზის ციმციმი აელვარებს
შენს სახეს და ოქროს კალამს,
გაშლილ შუბლზე სიბრძნე ფეთქავს
უკვდავების მტკიცე ძალას.

**1937 წელი**